აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №14

26/10/2020 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“ წარმომადგენლის დანიშნვაზე უარის თქმის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები და თუ პარტია/საარჩევნო ბლოკი ერთდროულად მონაწილეობს ზემოაღნიშნულ არჩევნებში, ასეთ შემთხვევაში პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს დანიშნოს არაუმეტეს ორი წარმომადგენელი – მხოლოდ უსკოში. ვინაიდან საარჩევნო სუბიექტი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება **ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“** ერთდროულად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში უარი უნდა ეთქვას ქვემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლის დანიშნვაზე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვადგენ:**

1. უარი ეთქვას მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებას ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“ ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში ნუკრი ბასილაძის წარმომადგენლად დანიშნვაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი